თბილისის თავისუფალი აკადემია

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში - „აკადემია“) უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახური, რომელშიც ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტიც, წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის დებულების, პერსონალის მართვის წესის და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა

2.1. სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, ექიმი, სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი. სამსახურს წარმართავს ხელმძღვანელი, სამედიცინო კაბინეტს - ექიმი, ხოლო სამეურნეო საქმიანობას სპეციალისტი. ზემოაღნიშულ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

2.2. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

ა. ახორციელებს დისციპლინის დაცვას აკადემიის ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასიხისმგებლობის ნორმებით დადგენილი მოთხოვნებით;

ბ. ახორციელებს წესრიგის დამრღვევი სტუდენტების გამოვლენას;

გ. ზრუნავს აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების უსაფრთხოებაზე;

დ. სათვალთვალო კამერების საშუალებით აწარმოებს შენობაში მიმდინარე პროცესებზე კონტროლს კანონმდებლობის დაცვით;

ე. უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას. ამ მიზნით ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალისტების მითითების შესაბამისად თვალსაჩინო ადგილას განათავსებს ცეცხლმაქრ ბალონებს და პასუხისმგებელია მათი ვარგისიანობის პერიოდულ შემოწმებაზე;

ვ. უზრუნველყოფს აკადემიის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას ევაკუაციის გეგმის განთავსებას;

ზ. ვალდებულია ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;

თ. კონტროლს უწევს თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ გაკეთებულ მითითებებს შენობაში;

ი. აღასრულებს რექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და სამართლებრივ აქტებს;

კ. მონაწილეობას იღებს აკადემიის ბიუჯეტის ფორმირებაში.

2.3. სამედიცინო კაბინეტის ექიმის ფუნქციები

ა. საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს;

ბ. გარკვეული ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შემთხვევაში და პრევენციის

მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციებსა და დახმარებას გაუწევს აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს;

გ. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, ადმინისტრაციულ შენობაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით.

2.4. სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი

ა. აკადემიის მომარაგება საჭირო რესურსებით;

ბ. აკადემიის მხარდაჭერა სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებში;

გ. აკადემიაში არსებული ინვენტარის/ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთების პროცესში ჩართულობა;

დ. სხვადსხვა მიმართულების ხელოსნების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მონიტორინგი;

ე. სხვადასხვა ინვენტარისა და ნივთების საჭიროების განსაზღვრა.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

3.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს აკადემიის სენატი;

4.2. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.